„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მაისი. 2025 * (3)106

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

საქართველო

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი, –
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!

დეე, გაიგონ, რომ შენცა ხარ მსოფლიოს
წევრი,
მიყვარს სიცოცხლე, განსაცდელის წინ არ
ჩერდები,
უკეთეს შვილთა სისხლით მორწყე კლდე-ღრე,
ფერდები,
და სამუდამოდ მოიშორე მონობის კევრი!

და ეს იქნება უკეთესი საბუთი, მჭევრი,
როს გეწვევიან უცხოეთით თეთრი მხედრები,
რომ მოკრძალებით მოიხარონ შენს
წინ ქედები,
არ მოგიხადონ უნებურათ მარანში ქვევრი!

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი, –
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!

ვ.რუხაძე
1919 წელი, მაისი

დედა საქართველოს

(26 მაისი)

ოთხას წელზე მეტი იყო
მონგოლების ხელში,
მანაც თავი გადირჩინა,
ვერ გასტეხეს წელში!
ას-ჩვიდმეტი წელიწადი
ბოლოს გაატარა,
მონობაშიც თავის ყოფნა
უქმად არ ატარა.
დღეს შენდება მუშის ხელით –
მტერი დაშლილია,
ვინც ეწევა – შეიკედლებს,
კვლავ გულ-გაშლილია!

ეს პატარა სამოთხეა,
ვაშა ციურ ძალთა!
თურმე აქ დაუბერტყია
უფალს თავი კალთა!
როგორც მისი ღვიძლი შვილი,
უცხოც თავს დაირჩენს.
თუ სიკეთეს ვინმე უზამს –
ისიც არ შეირჩენს.
მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება:
დღენი გაგიგრძელოს!
მივულოცოთ გაზაფხული
დედა-საქართველოს!

გიგო თეძმისხეველი
1919 წელი, მაისი

ოცდაექვსი მაისი

ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო შვებავ ხალისო,
გაგვამხნევე, რომ შიში
აღარ გვქონდეს ხვალისო!
ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო სვეტო ნათლისო,
უხვად გვფინე ნათელი
შენის უხვის მადლისო!
ოცდაექვსო მაისო,
უკვდავების სასმისო,
დაგვაწაფე შენს წყაროს,
მოგვეც გრძნობა სამისო!
ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო ოქროს საწმისო,
ოქროს ხანა მოგვმადლე,
მტკიცე მარად ჟამისო!
ოცდაექვსო მაისო,
ჩვენ ორგულთა სადგისო,
აგრძნობინე იმათაც
გემო შენის მადლისო!
ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო შვებავ, ხალისო,
ღირს გვყავ მეტის ზეიმით,
შეგეგებოთ გაისსო!

ლ. წულაძე
1919 წელი, მაისი

ალლუმი

ასპინძის ომის 150 წლისთავზე

გუშინ, დღის 12 საათზე ასპინძის ომის 150 წლის აღსანიშნავად, გაიმართა აღლუმი. სამხედრო ტაძარში მწირველი იყო მიტროპოლიტი ლეონიდე კრებულით. წირვას დაესწრნენ დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წევრები, სხვა და სხვა დაწესებულებათა უმაღლესი წარმომადგენლები, უცხოელი მისიების წარმომადგენლები და აუარებელი ხალხი. წირვის გათავების შემდეგ გაიმართა სამხედრო ცერემონიალი. აღლუმი მიიღო მთავარ სარდალმა გენ. კვინიტაძემ. მეცხრე ქვეითთა ასეულს, რომელმაც შემუსრა ოსმალეთის ორმოც ათასიანი კორპუსი, რომლის აღსანიშნავად მას დღეიდან ეწოდება „მეცხრე ქვეითთა ასპინძის ათასეული,“ ჩაბარდა ეროვნული დროშა. დასასრულ სამხედრო მინისტრმა მიმართა მხედრობას ვრცელი, მეტად შინაარსიანი სიტყვით, რომელშიც აღნიშნა დღევანდელი პოლიტიკური მომენტის სირთულე და მოუწოდა მხედრობას, – დღეს, როდესაც მეორდება ისტორიის ფურცლები, როდესაც ველური მტრები მოსდგომიან ჩვენს საზღვრებს, ეკვეთონ მტერს გმირულად და დაიცვან თავისუფალი სამშობლო. მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ჩვენს-კენაა მთელი ევროპა, მისი მუშათა კლასი, ჩვენ დღემდე თავდაცვას ვანარმოებდით, დღეიდან კი გადავდივართ შეტევაზე და გავჩერდებით მხოლოდ იქ, სადაც ლაჩარი და მურტალი მტერი დაიჩოქებს და გვთხოვს პატივება შებრალებასო.

სწორედ 150 წლის წინად ასეთ მდგომარეობაში იყო ქართველი ერი და გაიმარჯვა, დღესაც ჩვენ მტკიცედ გვწამს ეს გამარჯვებაო. შემდეგ მინისტრმა მიმართა მთავარ სარდალ გენ. კვინიტაძეს და უსურვა გამარჯვება. სამხედრო ტაძრის გალავანთან მოზღვავებულ ხალხში დიდი ენთუზიაზმი იყო. დამსწრეთა შორის აღფრთოვანებით ცრემლმორეულთაც კი შენიშნავდით. „გაუმარჯოს საქართველოს, მის მხედრობას, საქართველოს მთავრობას“, და სხვა ძახილს დასასრული არ ჰქონდა.

საქართველოს გენერალური შტაბის
სამხედრო-საისტორიო არქივი,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა,“
1920 წელი, N 100

„ასპინძობა“ – დიდი დღესასწაული

საქართველოს ისტორიას ახსოვს ბევრი დიდი თუ პატარა ომები, სადაც ქართველებს ბევრი დამარცხებაც განუცდია და ბევრი უმნიშვნელოვანესი ომიც მოუგია, რომლებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ხშირად გაიგონებდით, ალბათ – ხალხი ქმნის ისტორიასო, მაგრამ ეს ასე როდია. რომ არა დიდი ნიჭის მხედართმთავრები, მეფეები, ის დაუვიწყარი გამარჯვებები არამც და არამც არ იქნებოდა. არ იქნებოდა არც დიდგორის, არც მარაბდის, არც ბასიანის არც სხვათა და სხვათა სახელოვანი საბრძოლო ეპოპეები, რომელთა ხსენება ქართველი კაცის სახელისა და დიდების მომტანი იყო. ერთხელ ნაპოლეონს უთქვამს: „ლომების ხროვას თუ ცხვარი უდგას სათავეში ყოველთვის დამარცხდება ცხვრის ფარასთან, რომელსაც ლომი ჰყავს სათავეშიო“, ეს ჭეშმარიტება ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა.

მეფე ერეკლეს გამჭრიახობამ, მისმა გენიამ შესძლო გაეძლო 60-წლოვანი ქარტეხილებისთვის, რომელიც მთელი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხმლით ხელში სამშობლოს დაცვა იყო. ძალიან ადვილია დღევანდელი გადასახედიდან ზოგიერთ „ჭკუაგადავსებულ მეცნიერეთა“ „ბრძნული“ შეფასებებით შეაფასო ერეკლე მეორის განუსაზღვრელად დიდი როლი საქართველოს ისტორიაში. ის ჭეშმარიტად სახალხო მეფე იყო, რომელიც აგრერიგად წრფელი გულით შეიყვარა სრულიად საქართველომ და ვერავითარი ძალა ხალხის მისადმი სიყვარულს ვერ დაუპირისპირდება. როგორც ილია ბრძანებდა მან აირჩია ის გზა, რომელიც ქვეყნისთვის ორი უკიდურესობიდან სწორედ მის მიერ არჩეული გზა ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა ქართველი ერისათვის.

ჩვენთვის, ასპინძელებისათვის, მეფე ერეკლე ჩვენი გულის ნაწილად იქვა, რამეთუ სწორედ მის სახელსა და დიდებას უკავშირდება ისტორიაში შარავანდედით შესული ასპინძის სახელი. როგორც გალაკტიონი ბრძანებს – „ვამბობ ასპინძას და კვლავ ომი

მომენატრება!“ – ამ ომის მონატრება ხომ გამარჯვების მონატრებაა!

ასპინძის ომის დიდების გამოხატულებაა ყოველწლიურად ასპინძაში 1770 წლის 20 აპრილს მომხდარი ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი „ასპინძობის” სახალხო დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნა, რომელიც ეგრერიგად გვაამაყებს და მეტი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, ვიყოთ იმ დიდ წინაპართა ღირსეული შთამომავლები.

ტრადიციულ „ასპინძობის“ სახალხო დღესასწაულზე დიდი ხალხმრავლობა იყო. სტუმართა შორის იყვნენ სამხარეო ადმინისტრაციის პასუხისმგებელი მუშაკები, რეგიონის მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავმჯდომრები, საპატიო ასპინძელები, ასპინძელი მასპინძლები…

ასპინძის ბრძოლის ამსახველი მონუმენტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

ამასთან დაბის ცენტრში მოწყობილ სცენაზე ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით გაიმართა საზეიმო კონცერტი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

14 აპრილს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ჩატარებულ კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები ღონისძიებაზე სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანების შემოქმედებითი ჯგუფები, ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა’, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები „სამცხე” და „ვარძია”, სოფელ ჭობარეთის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ერისა.” გარდა ამისა მაყურებლის წინაშე წარსდგა ცნობილი ანსამბლი „ფორტე“, რომლის წევრებმაც შეასრულეს ახალი და ძველი სიმღერები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ახლახან გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და საიდანაც, ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 მარტის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე, ა. ტივაძე, გ.ჯვარიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთაში განსახორციელებელი გაზმომარაგების პროექტის მოწონების თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე, ა. ტივაძე, გ.ჯვარიძე;

დეპუტატებმა საკითხები დაამტკიცეს, რის შემდეგაც გაეცნენ ინფორმაციას;

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებების (N34-დან N49-ის ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

9 აპრილს მიეძღვნა

9 აპრილს ასპინძის მუნიციპალიტეტში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები გაიხსენეს.

მათი ხსოვნის პატივსაცემად ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მერაბ ზურაბაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

დაღუპულთა სულების უკვდავსაყოფად პანაშვიდი ასპინძის ეკლესიის წმინდა გიორგის სახელობის მღვდელმსახურმა მამა დავითმა აღავლინა.

პანაშვიდის დასრულების შემდეგ ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანების კულტურის ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფმა თემატური ღონისძიება გამართა.

ღონისძიება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის ჰეაბილიტაცია გრძელდება

პროექტის ფარგლებში მოეწყობა დეკორატიული ღობეები, ტროტუარები, გარე განათების ბოძები და გარკვეულ მონაკვეთზე – საყრდენი კედლები.

აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „არალი" აწარმოებს.

პროექტი მრავალწლიანია და მისი მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 363 000 ლარს, მიმდინარე წლისთვის გათვალისწინებულია 166 673 ლარის სამუშაოების შესრულება.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

წარსულის ფურცლები

***

ასპინძა, (ახალციხის მაზრა). ვუცქერით, როგორ უწყალოთ აქცევს, ამ ძვირფას სახსოვარს ქართველთა უკანასკნელ მწარე ბედისას, სოფ, აწყურის მკვიდრი, ახალციხელ ეფენდის შვილი – ბ-ნი თეიფიყ-ჰამიდ-ოღლი: მან მოისურვა დუქნის აგება ასპინძის ქვემოთ სახელმწიფო გზის პირად. ღმერთმა უკეთესობა მისცეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზის პირად ასპინძის მინდვრებზედ ფეხს ვერ აუქცევთ შენობის საუკეთესო ქვას, იგი უხერხო ალაგას რკინის კეტებით მხნედ შეუდგა გარკინებულ ციხის კედლების დაქცევას. ეს ციხე აორრებული ნანგრევი იყო, მაგრამ მაღალი კედლები და ყოველი კუთხე, მთელი სურათი ციხისა მთლად იყო დაცული. გლეხ მაჰმადიანთა ოჯახებში საუკუნოებით დაცულა უბრალო თონეები, რომელთაც უვნებლად და ზრუნვით ინახავენ მათი პატრონები, ხოლო შეგნებულად ცნობილი ბ-ნი თეიფიყ-ჰამად-ოღლი-კი არ ჰზოგავს მხნეობას და დიდის წვალებით აქცევს უახლოესის დროის სახელოვან სახსოვარს. ნუ თუ აქვს ვისმე უფლება ისტორიული ნაშთი ასე გაანადგუროს?!

„ივერია," 1900 წელი, N98

პრესა

ამაზასპ საფაროვს სომეხ-კათოლიკე მხითარისტს შეუდგენია „გეოლოგია", რომელსაც აწერია, რომ იგი გამოცემულია სომხურ ეკკლესიებში სახმარებლად. ამ გეოლოგიის მე-37 გვერდზე ვკითხულობ: „რუსეთის სომხეთის ნაწილს სოფელს აპასთუმანს და ასპინჭას გამოდის გოგირდის წყაროები, სადაც ხალხი ბანაობს.„

ეს გადამახინჯებული ასპინჭა და აპასთუმანი ჩვენი ასპინძა და და აბასთუმანია. როგორც ვიცით, აბასთუმანი სძევს ქვაბლიანს, ანუ ძველს ურხეს და ასპინძა ახალციხის ქვემოთ ჯავახეთს. არც ერთი ეს მხარე სომხეთს არ ეკუთვნის.

„ცნობის ფურცელი," 1901 წელი, N1550

ლადო მაჭავარიანი

მესხეთი

აციებული სერი, მთები თოვლის რკალებად,
უიღბლოდ დანასერი _ გული დანატოვარი;
ყინულიან სავალით დავიწყებული წვალებად,
მესხეთი ცალი თვალით სდუმს ცრემლ დანათოვარი.

ოქროს თეთრი აკვანი არითმებულ შაირის;
ალმას კოშკად კლდე-ქვანი დადუღებულ ფოლადათ,
არკინებს მეფისა ხელს, იტევს ფიქრს ათასნაირს;
რაინდების სახელის ზღაპრის მოსაყოლადა.

ვნება მთავრის ოთახში და ლხინი გამართული,
ჰკვდება ნგრეულ ცის თაღი, ვით ქვრივის სამძიმარი;
აქ ენთება ლოცვებათ, რაინდობა ქართული
მთვარით რომ წამოწვები _ მთებით რომ გდევს სიზმარი.

ხარობს ნამგალა მთვარე _ აბრწყინებულ სვეტებად,
გათბა გული მწუხარე _ ჰქრება შური ბრმა კუზით,
მახინჯ თვალთა სიავე ლპება ცივ ნაწყვეტებად,
ლაღობს ძველი მესხეთი სიყვარულის აუზით.

1919 წელი, თებერვალი
ქ.ახალციხე

კორესპონდენცია

სოფ. ხიზაბავრა (ჯავახეთი). ხიზაბავრა ზედ საზღვარზეა, რომელიც ჯავახეთიდან ახალციხის მხარეს აცალკევებს და იპყრობს 150 კომლს მცხოვრებს (2,000 სულამდეა).

ამ სოფელს თუმცა დიდი ადგილი უჭირავს, თითქმის 40 კვადრ. ვერსი, მაგრამ რადგანაც ბევრი ღრანტეხანგნარ (ლოდნარი) ადგილებია, რომელიც სახნავ-სათეს და საბალახო ადგილების სიდიადეს ავიწროებს, ამიტომ დიდათ ხელს უშლის მათ ეს დამაბრკოლებელი მიზეზი ბევრი ცხვარ-ძროხის შესანახათ.

ამ თუთხმეტ-თექვსმეტი წლის წინათ ხიზაბავრელები უმეტეს ინახავენ, ვიდრე ახლა. რადგანაც ზედაველას მთა (ბაკურიანთან ახლო ჭობარეთშია) ამათ ხელში იყო, ყოველ ზაფხულობით იქ რეკავდნენ საქონელს; იმ დროს 30 მეცხვარეს ჰყავდა 6,000 სულამდე თხა-ცხვარი და 1,000 სულზე მეტი ძროხა, საიდგანაც ერთ ზაფხულს იქ ამზადებდნენ 7,000 ფუთზე მეტს ყველს და 1,200 ფუთ ერბოსა და იმის დაგვარად მატყლბანალსა. ახლა-კი ზედაველა ხელიდგან გაექცათ, რადგან მთავრობამ ჩამოართვა და იმის მესამედსაც-კი ვეღარ სარგებლობენ საქონლის სიმცირის გამო. უწინ, ე.ი. 10-15 წლის წინათ, თვით მცხოვრებელნი ბევრად ნაკლები იყვნენ, ვიდრე ახლა და შემოსავალიც სამჯერ აღემატებოდა, ვიდრე ახლა. მომატების და გამრავლების მაგიერ, შემოსავალი გამრავლებულ ხალხს ერთიან შეუმცირდა და მათ შესამჩნევათ დაღარიბნენ მცხოვრებნი, თავის რჩენა გაუჭირდა ხალხსა და აქა იქ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში წანწალმათხოვრობდით რჩებიან მოწიფული და მდევის მსგავსი ხიზაბავრელები. მითომ და აბა რა ჰქნან. სახნავ-სათესი მცირე აქვთ და სამუშაო ხომ აქ არსად იშოვება, აბა შიმშილით ხომ არ მოკლავენ ცოლ-შვილს?!

როდესაც ხიზაბავრელები უმთოთ შეწუხდნენ და საქონელი ვეღარ ასაზდოეს უამისოთ, მაშინ დავას შეუდგნენ 1883-1885 წლებში. კუპჩია და საკუთრების დამამტკიცებელი საბუთები მიანდვეს მასწავლებელს ბ. გეგიძეს, რომელიც იქ მსახურებდა სკოლაში. მცხოვრებთ ეგონათ, საქმეს გაგვიკეთებს გეგიძეო და, მგონია, სახარჯო სადავოც გაიწერეს და და მიართვეს საქმის საწარმოებლათ, მაგრამ დღემდე არაფერი ამბავი არ უცნობებია ხიზაბავრელებისთვის ბ. გეგიძეს. რა ჰქნა და რა არა, – ჯერ გამოურკვეველია ხალხისათვის.

ამ უკანასკნელ დროს იმედ-მიხდილნი-კი სხვა გზას დაადგნენ: თუ აღარ გვეშველება ზედაველას მთის დაბრუნება, იქნების მთავრობამ გვიყოს წყალობა და სხვაგან სადმე გადაგვასახლოსო; ამის მსურველი 40 კომლზე მეტია, რომელთაც უფრო არტაანის მხარეში სურთ გადასახლება, სოფ. ველში,რომელიც უწინ სოფლათ ყოფილა და ახლა კი ნაოხრათ არის დარჩენილი. თვითონ ვერ ახერხებენ ჩივილს, გზას ვერ იკვლევენ და სხვებსა თხოვენ: გაგვიკითხეთ და გვიპატრონეთო. სხვათა შორის, მეც არა ერთხელ მომმართეს ტირილ-ვიშით – გვიმეთაურეთ, 200-300 მანეთს მოგცემთ და გვითხოვეთ, სადაც ჯერ არს, გადაგვასახლონო, მაგრამ მე რა შემეძლო მათთვინ სამსახური გამეწია და შევპირდი, რომ გაზეთში გამოვაქვეყნებ თქვენ გაჭირვებას-მეთქი.

მესხი კ. გვარამაძე

„კვალი," 1901 წელი, N2

თოკელი ზარიძეების გვარის ისტორია

სოფელი თოკი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ზეგანზე, მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ხოლო დასავლეთით – ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ვარგავი. თოკი ისტორიული ჯავახეთის ნაწილია და მოსახლეობაც მიეკუთვნება ჯავახელებს. სოფელში ამჟამად ცხოვრობენ **ზარიძეები, თამარაძეები, ლეკიშვილები, დავლაშერიძეები** და **თარხნიშვილები.**

თოკელი აბაშიძეები. XX ს., 1920-იანი წლები

სოფელი თოკი სამჯერ არის გაანადგურებულ-გაუკაცრიელებული და, შემდეგ, ხელახლა დასახლებული. სოფელში მცხოვრებთაგან ყველა გვარის მოსახლე მოსულია ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებიდან და დასახლებულან XVIII საუკუნის ბოლოს და, ნაწილობრივ, XIX საუკუნის დასაწყისში. სოფელში მცხოვრები ზარიძეები და თამარაძეები ერთი ოჯახის ჩამომავლები ვართ. ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ახალქალაქის მაზრის სოფელ ორჯუაში (ორჯვა - ორი ჯვარი), გვარად თამარაშვილები ყოფილან. 1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ომში, ერეკლე მეფის გამარჯვების შემდეგ თურქები და, განსაკუთრებით ლეკები, ძალიან გააქტიურებულან და სისტემატურად აწიოკებდნენ ჯავახეთის ქართულ მოსახლეობას. ისინი ვერავისგან პოულობდნენ დახმარებას და იძულებულნი გამხდარან ჯავახეთი დაეტოვებინათ და სხვაგან გახიზნულიყვნენ. იგივე დაემართა ჩვენს წინაპარსაც. ლეკებმა ააოხრეს ჩვენი სოფელი ორჯუა და ჩვენი გვარის უშუალო წინაპარი, რომლის სახელიც არ მახსოვს, ლეკებმა მოკლეს, მას დარჩენია მეუღლე და სამი შვილი. ვინაიდან ორჯუაში აღარ დაედგომებოდათ, ეს ქალი სამ შვილთან და მაზლთან ერთად, რომლის სახელიც ასევე არ ვიცით, წამოსულან და დასახლებულან სოფელ თოკში, სადაც იმ დროს უკვე ცხოვრობდნენ გამაჰმადიანებული ქართველი ბეგები, გვარად აბაშიძეები. ამ ქალის მაზლი თოკში არ გაჩერებულა და საცხოვრებლად გადასულა ქალაქ ახალციხეში, რომლის შთამომავლებიც ამჟამად თამარაშვილები არიან. დიდი ქართველი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი სწორედაც იმ კაცის შთამომავალი იყო. ქვრივი ქალი სამ შვილთან ერთად თოკის ბეგებს შეუკედლებიათ, ვინაიდან აბაშიძეები იმ დროს ჯერ კიდევ ფარულად მართლმადიდებლობდნენ, ჩაუთვლიათ, რომ გვარი თამარაშვილი იყო კათოლიკური და ქვრივი ქალისთვის მოუთხოვიათ, გვარი შეეცვალა და დაწერილიყო თამარაძედ. მათი თხოვნა უყოყმანოდ შეუსრულებია და თამარაძეებად დავწერილვართ. თოკში იმ დროს, აბაშიძეების გარდა, ასევე ცხოვრობდა რამდენიმე თურქული ოჯახი, რომლებიც თურქებმა სპეციალურად ჩაასახლეს ქართულ სოფლებში, რომ ქართველებისათვის თურქული ენა შეესწავლებინათ. ქვრივ ქალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰყოლია სამი შვილი – ერთი ქალი და ორი ვაჟი. ქალიშვილი გათხოვილა და ვინ არიან მისი ჩამომავლები, არ ვიცით, ხოლო ვაჟებიდან ერთს ნიკოლოზი ერქვა და მის შთამომავლებს „ნიკოლაანთ“ ეძახიან, ხოლო მეორეს მათე ერქვა და მას თათრები მურადას ეძახდნენ, მის შთამომავლებს „მურადაანთ“ გვეძახიან. სოფელ კოთელიაში გვყავდა ნათესავი ზარიძეები, რომლებთანაც ერთხელ სტუმრად წასულა მათე (მურადა). კოთელიელმა ნათესავებმა მას დასცინეს, – რა არის, ქალის გვარი გაქვს, სირცხვილიაო. იწყინა მათემ ე.წ. ქალის გვარი და დაეწერა კოთელიელი ნათესავების გვარზე და გახდა ზარიძე, ამიტომაც ვართ ზარიძეები, ხოლო ნიკოლოზი დარჩა თამარაძედ და მისი შთამომავლები დღესაც თამარაძეები არიან.

ჩვენი გვარის გარდა, როგორც აღვნიშნე, სოფელში ცხოვრობენ ლეკიშვილები.

თედორაძეები, რომლებსაც „მამულაანთ“ უწოდებენ, მოსულან ჩრდილის ტბის სანაპიროზე არსებული რვა ქართული სოფლის ერთ-ერთი სოფლიდან, კერძოდ, – ურთიდან. დავლაშერიძეები მოსული არიან ასპინძის რაიონის სოფელ როკეთიდან, მათ ჯერ ვარგავში უცხოვრიათ და მერე თოკში გადმოსულან. ბოლოს, XIX საუკუნის 40-იან წლებში ქართლიდან მოსულან და დასახლებულან თარხნიშვილები, რომელთა თავდაპირველი გვარი კასრაძე ყოფილა, ოჯახის უფროს პავლე ერქვა, რომელმაც მოიტაცა ლეკიშვილების გვარის ქალი და დაიმალნენ თოკის ხევში არსებულ გამოქვაბულში. ლეკიშვილები მას მოსაკლავად დაეძებდნენ, ამიტომ იგი ახალქალაქში გადასულა და დახმარებისთვის პოლიციისთვის მიუმართავს. პოლიციის უფროსად იმხანად, თურმე, გვარად თარხნიშვილი მუშაობდა. ისიც მაშინვე გაჰყოლია სოფელში და გაუფრთხილებია ლეკიშვილები, რომ პავლესთვის ხელი არ ეხლოთ, თორემ ყველას დასჯიდა. პავლემ გადაიხადა ქორწილი და მეჯვარედ პოლიციის უფროსი დაიყენა, შემდეგ მის გვარზე – თარხნიშვილზე დაეწერა.

რაც შეეხება აბაშიძეებს, ისინი ყველაზე ადრე მოსულან ამ სოფელში საცხოვრებლად. გადმოცემით ვიცით, რომ მათი წინაპარი წამოსულა დღევანდელი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალიდან, რომელსაც იმერეთის მეფესთან უთანხმოება მოსვლია და დაახლოებით 1755-1765 წლებში გამოქცეულა ახალციხეში, მისულა ახალციხის ფაშასთან და უთხოვია, თავის მფარველობაში ჰყოლოდა და მესხეთში დაესახლებინა. ფაშას შეუთავაზებია, – თუ იგი გამაჰმადიანდებოდა და ისლამს მიიღებდა, მას თავის სამსახურში აიყვანდა და მამულებსაც გადასცემდა. აბაშიძეც დათანხმებულა, – მიუღია ისლამი, გამაჰმადიანებულა და ფაშას მისთვის უბოძებია სოფელ თოკსა და ვარდისციხეში დიდძალი მამულები და სამუდამოდ დასახლებულა სოფელ თოკში.

როგორც აღვნიშნეთ, ლეკთა თარეშისა და თურქთა ავკაცობის გამო ჯავახეთის სოფლები მოსახლეობისაგან დაიცალა, მათ შორის გაპარტახდა თოკიც და ვარდისციხეც. როცა აბაშიძე დასახლდა თოკში, ფაშამ ორი თურქი ოჯახიც ჩაუსახლა, ვითომდა დასახმარებლად, რეალური მიზანი კი აბაშიძეზე კონტროლის დაწესება, მისთვის თურქული ენისა და ზნე- ჩვეულებების სწავლება იყო. აბაშიძეებმა ბეგების სტატუსი მიიღეს, რომელთა საკუთრებაში მარტო სოფელ თოკის ფართობებიდან გადავიდა 300 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები, ნასოფლარ ვარდისციხეში კი – 200 ჰექტარი სახნავი მიწა და 50 ჰექტარი სათიბი. დარჩენილი 50 ჰექტარი კი დარჩა თოკის მოსახლეობას, მათგან დიდი ნაწილი – ზარიძეებს; აბაშიძეების საკუთრებაში არსებული 300 ჰექტრიდან, მაჰმადიან მესხთა გასახლების შემდეგ, მთავრობის განკარგულებით, 250 ჰექტარი გადაეცა ახალქალაქის რაიონის სოფელ ვარევნის კოლმეურნეობას, ხოლო 50 ჰექტარი დაუტოვეს თოკის კოლმეურნეობას. ამჟამად აღნიშნული 50 ჰექტრიდან 10 ჰექტარი გიორგი ზარიძის საკუთრებაშია, 20 ჰექტარი – ზვიადი ზარიძის, ხოლო დანარჩენი 20 ჰექტარი, – სოფელში მცხოვრები რამდენიმე ოჯახის კუთვნილებაა.

სოფელ თოკში ასევე ცხოვრობდნენ კედელიშვილები, რომლებსაც აბაშიძეებთან მოუვიდათ ჩხუბი და ამის გამო გადასახლდნენ ახალქალაქის რაიონში, მთის ძირში დააარსეს სოფელი და დაარქვეს თოკ-სამსარი, დროთა განმავლობაში კი გასომხდნენ და დღეს გდელიანებად იწერებიან. საბჭოთა ეპოქაში ცნობილი გამომძიებელი გდელიანი, რომელმაც მთელი შუა აზიის თანამდებობის პირები დააპატიმრა და მოსკოვში ცეკამდე ჩავიდა, იყო სწორედ თოკ-სამსარიდან.

მესხეთ-ჯავახეთის ოსმალთა ბატონობიდან განთავისუფლებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, დაისადგურა რა მშვიდობამ, მოსახლეობაც მაქსიმალურად გამრავლებულა და სოფელ თოკის როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი პირუტყვისათვის ზამთრის საძოვრები აღარ ჰყოფნიდათ, რის გამოც თოკის ბეგებმა მიმართეს ახალქალაქის მაზრის უფროსს დახმარებისათვის, რომელმაც სოფელს დამატებით გამოუყო აბულის მთაზე, სოფელ გომანოს მიმდებარედ, საძოვარი. შესაბამისად, მოსახლეობასაც, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, პირუტყვი გადაჰყავდა აღნიშნულ საძოვრებზე, რაც იწვევდა სომხურ და ქურთულ მოსახლეობასთან გარკვეულ კომფლიქტებს. ასევე კახელ მეცხვარეებთანაც ჰქონდათ დაპირისპირებები.

სოფლის ცხვარში დადიოდა გიორგი ზარიძის პაპა სერგო ალექსის ძე ზარიძე. თოკისთვის გადაცემული საძოვრის გვერდზე კახელი ოთხი მწყემსი იყო დაბანაკებული თავისი ცხვრის ფარით. პირველ წელს სერგოს კამათი მოსვლია კახელ მწყემსებთან, შემდეგ კამათი გადაზრდილა ჩხუბში და სერგომ ოთხივე მწყემსი კარგად სცემა, ამათგან ერთს მკლავიც კი მოსტეხა. იმ წელს კახელები მას აღარ გაჰკარებიან. მეორე წელს, როცა დაბრუნებულან, მაშინვე შეურიგდნენ თურმე სერგოს და იმ მწყემსმა, რომელსაც მკლავი ჰქონდა მოტეხილი, შერიგების ნიშნად, სერგოსთვის შინდის კომბალი უჩუქებია, კომბალზე კი გაუკეთებია ვერცხლის 12 რგოლი, ერთმანეთზე თითო მტკაველის დაშორებით.

ამავე წელს თოკის საძოვარზე ცხვრის ფარა შემორეკა ერთმა ქურთმა. სერგოც ამ დროს ცხვარში ყოფილა. მასთან ერთად იყვნენ მისი მამა ალექსი ზარიძე და მათე ლეკიშვილი. ესენი ურჩევდნენ სერგოს, – ეგ ქურთი შარიანი კაცია და, თანაც, კარგი მოჩხუბარი და მოერიდეო, მაგრამ სერგომ არ დაიშალა თავისი და ცხვრის ფარით გაემართა ქურთთან შესახვედრად. როცა შეხვდნენ ერთმანეთს, სერგომ უთხრა ქურთს, რომ ეს საძოვარი ჩვენს პირუტყვს ძლივს ჰყოფნის და შენც რომ დაემატები, აქ აღარაფერი დარჩება, თქვენ რაც გეკუთვნით, იმით დაკმაყოფილდითო, მაგრამ ქურთმა საჩხუბრად გამოიწვია იგი. თურმე, ქურთებს წესად ჰქონიათ მოკლე კომბლები და მარცხენა ხელზე დახვეული ნაბდები, რომლებსაც მოწინააღმდეგის მოქნეულ კომბალს ახვედრებდნენ. ვინაიდან საძოვარი ფერდობიანი ადგილი იყო, ორივე ცდილობდა, ზედა მხარეს დამდგარიყო, რაც დიდი უპირატესობის საშუალებას იძლეოდა. მართალია სერგომ მოახერხა ზედა მხარეზე დადგომა, მაგრამ, როცა კომბალი მოუქნია, ქურთმა ნაბდიანი ხელის ნაცვლად თავისი კომბალი დაახვედრა, რასაც სერგო არ მოელოდა და მას კახელების ნაჩუქარი კომბალი ხელიდან გაუვარდა. სერგო კომბლის ასაღებად გაექანა, მაგრამ ქურთიც უკან დაედევნა. სერგომ მოასწრო კომბლის აღება და ისევ ზედა მხარიდან მოექცა და კომბალი მარდად მოუქნია. ქურთმაც მარცხენა ნაბდიანი ხელი სწრაფად წაიღო კომბალის დასახვედრად, მაგრამ ხელი ვეღარ გააჩერა, წინ გადაიწია და დაუცველი დარჩა. სერგომ ამით ისარგებლა და იმდენი ურტყა ქურთს კომბალი, ვიდრე ქურთმა ხვეწნა არ დაუწყო, – შემიბრალეო! იმის შემდეგ ქურთი ამ ტერიტორიას აღარ გაკარებია.

მეორე წელსაც, იმავე საძოვარზე, ცხვარში ყოფილან სერგო თავის მამასთან და ძმის შვილთან – არჩილ იაკობის ძე ზარიძესთან ერთად. მაშინ ჭალების თიბვის დრო იყო, სერგო დაქორწინებას აპირებდა და უნდა შეხვედროდა საცოლეს. ცხვარს კი ალექსი და არჩილი პატრონობდნენ. ვინაიდან არჩილი მხოლოდ ხუთი წლის ყოფილა, ვერ შესძლო ცხვარის ფარის შეკავება და მთელი ფარა თურმე სოფელ გომალოს ჭალებში შეცვივდა. სოფლის მოსახლეობა დაერია ცხვრის ფარას და დაიწყეს მისი დატაცება. ალექსიმ ხმამაღლა ინატრა – „ნეტაი ჩემი სერგოი აქ გაჩნდესო.“ სერგოსაც შორიდან მოეკრა თვალი, რომ მათი ცხვის ფარა მეზობელი სოფლის ჭალაში გადასულა, უმალ გაიძრო თურმე ჩოხა და სირბილით დაეშვა დაბლა, კახელების ნაჩუქარი კომბალით ხელში. როგორც კი ჩამოვიდა, დაერია სომხებს, ვისაც კომბალი დაარტყა, ყველა ნააქცია, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ და ალყაში მოაქციეს. სერგო დაეყრდნო კომბალს და, ჭოკით მხტომელივით, თავზე გადაევლო მოალყეებს, ზურგიდან მოექცა და კომბალით სასტიკად სცემა ისინი. ბოლოს გომალოელები დაიშალნენ. მერე ურმებზე დამტვრეული მამაკაცები შემოსვეს და ახალქალაქის ჟანდარმერიაში წაიყვანეს საჩივლელად. იმავე საღამოს კი სერგო ჟანდარმერიამ დააპატიმრა. სერგომაც ყველაფერი აღიარა, რომ მან ნამდვილად სცემა სომხები და ნივთმტკიცება – ვერცხლის რგოლებიანი კომბალიც ჩააბარა ჟანდარმერიას. სერგოს დაპატიმრება ემოქრებოდა. მისი შეშინებული მშობლები და ძმები მივიდნენ თოკის ბეგებთან – აბაშიძეებთან და სთხოვეს დახმარება. ბეგებიც მაშინვე დახმარებიან, – მივიდნენ ახალქალაქის ჟანდარმერიის უფროსთან და სთხოვეს, – გამოეშვათ სერგო. ჟანდარმერიის უფროსმა ურჩია ბეგებს, რომ სერგოს ჩვენება შეეცვალა. მათაც ასეთი ვერსია მოიგონეს: თითქოს სომხებმა ძირს დააგდეს იგი, ჯოხებით დაესივნენ საცემად. სერგომ მოახერხა და ქვემოდან გამოუძვრა თავმდამსხმელებს. სომხებმა კი შეცდომით ვითომ ერთმანეთი ცემეს და ამიტომაც დაზიანდნენო.

სერგო ბეგებმა ამ ვარიანტზე ძლივს დაიყოლიეს და მანაც ჩვენება აღნიშნული ფორმით შეცვალა. ჟანდარმერიამაც „გაითვალისწინა“ აბაშიძეების თხოვნა და სერგო გაანთავისუფლეს სასჯელისაგან. მომდევნო წელს კი სომხებმა დაპატიჟეს სერგო თავის სოფელში შესარიგებლად, დიდი სუფრა გაშალეს და შერიგების ნიშნად ცეკვა-თამაშიც გამართეს სოფელ გომანოში.

როგორც ვთქვით, აბაშიძეები დიდ მამულებს ფლობდნენ. ერთი აბაშიძე – მამად ალი ბეგი ქ. ყარსის ფოსტის უფროსი ყოფილა. მან ქარაფზე დიდი სახლი გაიკეთა და მასალა ურმებით ყარსიდან ჩამოაზიდინა. ერთი ჰაშიმ ბეგ აბაშიძე ექიმი იყო. ბეგების მამულებს ამუშავებდა სოფლის მოსახლეობა. ყანებს რომ მომკიდნენ, ნამჯის ზვინებს დიდ ყანებში დგამდნენ, თითო მინიმუმ 2 ტონა მაინც იყო. შემდეგ მივიდოდნენ ბეგები და ყოველი 10 ზვინიდან /ბუნულიდან/ ერთი მათ უნდა წაეღოთ. 9 ზვინი კი გლეხს რჩებოდა. შემდეგ გაილეწებოდა როგორც თავიანთი, ასევე ბეგების წილი და დაბინავებდნენ. სოფელ თოკში ძირითადად ღარიბი ხალხი ცხოვრობდა. ქართველები თურქებზე ცოტათი შეძლებულები იყვნენ, რადგან ბეგები ქართველებს უფრო მეტ პატივს სცემდნენ ვიდრე თურქებს. გლეხების სახლები შემდეგნაირად იყო მოწყობილი: შესასვლელში კარაპანი იყო, კარაპნიდან ჰქონდა შესასვლელი ბოსელში, ბოსლის მერე – ოდა, სადაც მხოლოდ ბუხარი იყო დატანებული და იქ იძინებდა მთელი ოჯახი. ცალკე ჰქონდათ ფურნის სახლი და საციო ოთახი, სადაც ყველს, ერბოს და ფქვილს ინახავდნენ. შეძლებულ გლეხებს შეიძლება ჰქონოდათ მერცხლის ბუდური დარბაზები და ეგრეთ წოდებული, იაზლუღები, ანუ ფანჯრიანი ოთახები სტუმრებისათვი. ყოჩბაშური დარბაზები თოკში არ იყო. ბეგების სახლებს მზის მხარეზე ჰქონდათ ფანჯრები. ამასთან, ყველა სახლი ნათდებოდა ბანზე არსებული ერდოებით. სახლები გადახურული იყო მიწით.


თოკის ეკლესია

მთქმელი ***გიორგი ზარიძე,*** *78 წლის (ეს ამბავი მოუსმენია მამის* ***იასონ ზარიძისაგან);*** *აღნიშნულ ისტორიას გარკვეული ფაქტები დაუმატა* ***ზვიად ზარიძემ,*** *რომელსაც მოსმენილი აქვს მამისაგან –* ***შალვა ზარიძისაგან;*** *ასევე მცირედი ნაწილი დაამატა* ***ზურაბ თამარაძემ.***

ჩაიწერა ***გიორგი ჯვარიძემ*** *2025 წელს, სოფელ თოკში*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მატიანე

ასპინძის სასტუმრო. მე-20 საუკუნის 60-იანი წლები

მე და ჩემი ქვეყანა

ასპინძელ სლავა ჩიხლაძის ქორწილზე, რომელიც ახალციხეში გადაიხადა, ოჯახმა ფულის ჩაწერა მე მთხოვა. სია ჩვეულებრივ შევადგინე. რაიონის განათლების განყოფილების იმჟამინდელი განყოფილების გამგე ვასილ თამაზაშვილი დაინტერესდა სიით და მთხოვა ხელმეორედ გადმეწერა, მიზეზით არც კი დავინტერესებულვარ და უყოყმანოდ დავთანხმდი. ასე განმეორდა რამდენჯერმე. თურმე, ხელმეორედ გადაწერის მიზეზი ის იყო, რომ მისი გვარი თავში უნდა ჩამეწერა და მეც, რა თქმა უნდა, მივუხვდი მის „სურვილს“ და „თხოვნაც“ მაშინვე შევუსრულე.

ვაშლის ხე გასხლა

ასპინძაში ჯავახეთიდან საცხოვრებლად ჩამოსახლებულმა ვლადიმერ ალელიშვილმა (შემდგომში საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი), საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში ხეხილის ბაღის გასხვლა სთხოვა რაიონში ყველასათვის კარგად ცნობილ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს, პოლკოვნიკ ლავრენტი გიორგაძეს, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა აგრონომიაში და თავადაც დიდებულად მოვლილი ხეხილის ბაღი ჰქონდა.

ლავრენტი გიორგაძემაც მაღალ პროფესიულ დონეზე გასხლა ვაშლის ნერგები.

ვლადიმერ ალელიშვილის მოხუცმა მამამ, ზაქარიამ, დიდი ინტერესით დაათვალიერა გასხლილი თითოეული ვაშლის ნერგი, რომლებსაც ტოტები ძალზე მოკლედ ჰქონდა შეჭრილი. მოხუცმა პოლკოვნიკი ერთ ნერგთან მიიყვანა და საყვედურის კილოთი უთხრა: – შე დალოცვილო, ამდენს რას წვალობდი ამ ხეების გასხვლაზე, ბარემ ძირიდანვე გადაგეჭრა, განა უკეთესი არ იქნებოდა?

დიმიტრი მაღრაძე,
ასპინძა

ფესბუქთში ფიფას თასის მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებულები

1930 წელი – ურუგვაი	1982 წელი – იტალია
1934 წელი – იტალია	1986 წელი – არგენტინა
1938 წელი – იტალია	1990 წელი – გერმანია
1950 წელი – ურუგვაი	1994 წელი – ბრაზილია
1954 წელი – გერმანია	1998 წელი – საფრანგეთი
1958 წელი – ბრაზილია	2002 წელი – ბრაზილია
1962 წელი – ბრაზილია	2006 წელი – იტალია
1966 წელი – ინგლისი	2010 წელი – ესპანეთი
1970 წელი – ბრაზილია	2014 წელი – გერმანია
1974 წელი – გერმანია	2018 წელი – საფრანგეთი
1978 წელი – არგენტინა	2022 წელი – არგენტინა

ოლიმპიადა - 2025-ის ფარგლებში

„საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2025''-ის ფარგლებში ნინოწმინდის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა რეგიონული ჩემპიონატი სპორტულ სახეობა მაგიდის ჩოგბურთში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული სოფელ აწყვიტის საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდები.

ჩოგბურთის ტურნირში ვაჟებს შორის მეორე საპრიზო ადგილი სოფელ აწყვიტის გუნდმა მოიპოვა.

გამარჯვებული გუნდები სამცხე-ჯავახეთის სახელით მონაწილეობას მიღებენ „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2025'-ის ზონალურ თამაშებში.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს სოფელ აწყვიტის ვაჟთა გუნდს და მათ პედაგოგს მიღწეულ წარმატებას.

„დედაენის“ დღეს მიეძღვნა

„დედაენას, რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი _ ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია.„

იაკობ გოგებაშვილი

დიახ! უნდა გვახსოვდეს, გავუფრხილდეთ და გვიყვარდეს. დედაენა არის ის, რაც ყველას გვაერთიანებს და გვაძლიერებს, ის არის ერის არსებობის საფუძველი, რომელიც ღმერთმა გვიანდერძა. ქართული ანბანი ერთ-ერთი უნიკალური დამწერლობაა მსოფლიოში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება. ეს ნამდვილად საამაყოა ჩვენი ქვეყნისთვის.

2025 წლის 14 აპრილს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ორგანიზებით გაიმართა დედაენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება, სადაც პატარა მოსწავლეებმა ისაუბრეს ამ ისტორიულ თარიღზე და მის მნიშვნელობაზე, წარმოთქვეს ლექსები და ფრაზები, რომელიც ქართულ ენას მიეძღვნა. მე მჯერა, რომ ეს ბავშვები ქვეყნის საამაყო შვილები იქნებიან და პატრიოტ ქართველებად გაიზრდებიან.

მადლობა მინდა გადავუხადო ღონისძიების ორგანიზატორებს როგორც მსმენელმა და მშობელმა, მინდა ვუსურვო დიდი წარმატება, ბევრი მკითხველი და კმაყოფილი მსმენელი.

ნანა ტივაძე

მუნიციპალური ჩემპიონატი

ახლახან ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა მუნიციპალური ჩემპიონატი ნარდში“.

აღნიშნულ პირველობაზე მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის მოყვარულები, როგორ მამაკაცები ასევე ქალები.

პირველობაზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები შესაბამისი თასით, სიგელებით და მედლებით დააჯილდოვეს. ასევე, პირველ ადგილზე გასულ გამარჯვებულ მონაწილეებს საჩუქრად ნარდი გადაეცათ.

ღონისძიება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია